20/05/2025

DES 0 25 00027932

შემოწმების ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 19 მაისს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტ-ინსპექტორ ერთად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მიზნით შევამოწმეთ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის N9 ნავმისადგომთან მდგომი მცურავი საშუალება მ/ტ “DOGANBEY".

შემოწმებული იქნა:

1. გემის გემბანი ვიზუალურად, შესაძლო დარღვევების გამოვლენის მიზნით;
2. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული და საზღვაო რეგისტრის მიერ გაცემული ზღვის ნავთობით, საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლებით და ნაგვით დაბინძურების თავიდან აღკვეთის სერტიფიკატები, მათი გაცემისა და მოქმედების ვადები;
3. სახომალდო დოკუმენტები: ნავთობის ოპერაციების ჟურნალი (ნაწილი 1), ნაგვის ოპერაციების ჟურნალი, ნაპირზე ნავთობის ან ნაგვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები და მათში ჩანაწერების არსებობის იდენტურობა;
4. სამანქანო განყოფილება, კერძოდ: დათვალიერებული იქნა აღნიშნული განყოფილება: დადგენილი იქნა სქემის მიხედვით ნავთობშემცველი (ლიალური), შლამისა და სამეურნეო-ფეკალური წყლების ავზების ადგილმდებარეობა; გაზომილი იქნა ავზებში არსებული სითხე;
5. ვინაიდან აღნიშნულ გენზე სამეურნეო-ფეკალური წყლების დაგროვება ხდებოდა გემის ავზში ამ ავზიდან ზღვაში ჩამშვები სარქველის მდგომარეობა (დაკეტილი და დალუქული);
6. ავზების დაზომვის შემდეგ დადგენილი იქნა მიღებული ციფრების ნავთობის ოპერაციების ჟურნალში არსებულ ჩანაწერებთან შესაბამისობა;
7. სამანქანო განყოფილების ჟურნალში ჩანაწერების პერიოდულობა და სისწორე.

შემოწმების დროს რაიმე დარღვევა არ გამოვლენილა.

აღნიშნულის შედეგად ჩემს მიერ შედგენილი იქნა შემოწმების შესახებ ინპექტირების აქტი № 004785